



# კორპორაციული მართვის კრიტიკული და მათი გადაწყვეტის გზები საქართველოში

## რეზიუმე

სტატიაში ხაზგასმულია, რომ საქართველოში დღეისათვის არსებული ბიზნეს გარემოს უკეთაზე პოპულარული ტენდენციაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და IPO-ზე გასვლის პერსპექტივების უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, კომპანიისათვის მეტად მნიშვნელოვანია კორპორაციული მენეჯმენტის საკითხების დარეგულირება, რომელიც მეტად საყურადღებოა ინვესტორისათვის.

დასაბუთებულია, რომ საქართველოში კორპორაციული მართვის პრობლემების მინიჭებულება დასავანად აუცილებელია: კორპორაციათა სამეთვალყურეო საბჭოში წარდგენილი იქნება დამოუკიდებელი წევრები, რომლებიც ინვესტორისათვის გარეგულ გარანტიას წარმოადგენენ; გაძლიერდეს კომპანიის შიდა კონტროლი და მონიტორინგი; კომპანიებში ჩამოყალიბების ისეთი დამხმარე თრგანოები, როგორიცაა კომიტეტები და კორპორაციული მდივანი; დაინერგოს შეფასების მექანიზმი, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს დასავლეთის ქვეყნებში, რათა კომპანიონებმა განსაზღვრონ რამდენად ნაყოფიერია მმართველობითი ორგანოების ფუნქციონირება და რა ნაკლოვანებები გააჩნია მათ საქმიანობას; სახელმწიფომ, თავის მხრივ, განსაზღვროს კომპანიათა მართვის მინიმალური სტანდარტები და დანერგოს უფრო ეფექტური და მოქნილი მარეგულირებელი ნორმები.

**შესავალი:** საქართველოში დღეისათვის არსებული ბიზნეს გარემოს უკეთაზე პოპულარული ტენდენციაა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და IPO-ზე (პირველადი საჯარო შეთავაზება) გასვლის პერსპექტივების უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, კომპანიისათვის მეტად მნიშვნელოვანია კორპორაციული მენეჯმენტის საკითხების დარეგულირება, რომელიც მეტად საყურადღებოა ინვესტორისათვის.

დასავლეთში კორპორაციული მართვის ძირითადი პრობლემებია: აქციონერთა დაქსაქულობისა და ინერტულობის გამო მენეჯმენტის მეტად საყურადღებოა ინვესტორისათვის.

მერაბ განიშვილი  
ეკონომიკის დოქტორი,  
სტუ-ს პროფესორი

E-mail: merabvanishvili@yahoo.com

პახაბერ შლინგი,  
საქართველოს საპატიოარქოს წმიდა  
ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი  
E-mail: kakhajgenti@yahoo.com

ტის გაკონტროლების პრობლემა; აქციონერთა მხრიდან ადმინისტრაციის გადაწყვეტილებებზე და საქმიანობაზე ზეგავლენის მოხდენა; მენეჯერთა მრავალმილიონიანი კონტრაქტები, პასუხისმგებაში მიცემის სიძნელე და ინსაიდერული ინფორმაციის დარღვევით გამოყენება.

**კვლევის შედეგები:** სადღეისთვის, საქართველოში კორპორაციული მართვის დონის ამაღლებას აფერხებს ინფორმაციის, ფინანსების, კვალიფიციურ სეციალისტთა და მმართველი ორგანოების მხრიდან ინტერესის ნაკლებობა. ქვეყნის მთავარ პრობლემას კორპორაციულ მართვაში განეკუთვნება:

- ◆ აქციონერების მიერ საკუთარი უფლებების არცოდნა;
- ◆ კანონმდებლობით და შიდა დებულებუბით დადგენილი წესების უგულებელყოფა;
- ◆ არაეფექტური მმართველობის ორგანოები და მათი ფორმალური გაკონტროლება;
- ◆ გარიგებების არსებობა დაკავშირებულ მხარეებთან; ინფორმაციის არა საჯაროობა და ხარვეზები კანონმდებლობაში.

კორპორაციული მართვის უკეთა კოდექსის მოთხოვნაა სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საქმიანობის ყოველწლიური შეფასება. საქართველოში სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციონირებისას თავს იჩენს შემდეგი სამი ძირითადი პრობლემა: ფორმალური არსებობა; საბჭოში ნათესავების და მეგობრების ყოლა; საბჭოს შემადგენლობაში არაკვალიფიციური წევრების შეყვანა!

<sup>1</sup> ამ პრობლემების მოგვარების საუკუთესო გამოსავალია სამეთვალყურეო საბჭოში დამოუკიდებელი წევრების დანიშვნა, რაც ინგსტროს მატებს რწმენას, რომ მის მიერ განხოციელებულ ინვესტიციას კომპანიის მმართველობა საკუთარი ინტერესებისათვის არ გამოიყენებს.



## მართვის და მართვის

გავრცელებული პრობლემაა კორპორაცია-თა მხრიდან ინფორმაციის არასაჯაროობა; კონკანიები არ ახდენენ წლიური ანგარიშების გამოქვეყნებას და ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი წვრილი აქციონერებისათვის.

საქართველოში კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა მწირია, საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ“ ბუნდოვანია ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, ასევე გურკვევა-ლია მნიშვნელოვანი დებულებები კანონში „ფასიანი ქადალების ბაზრის შესახებ“, რაც შე-ეხება „სისხლის სამართლის კოდექსს“, იგი ითვალისწინებს ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, თუმცა ძნელია დასახ-ელდეს შემთხვევა, როდესაც ამ მუხლების გამოყ-ენებით დამდგარიყო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხი.

კომპანიები ყველაზე ხშირად კორპორაციულ მართვას უკავშირებენ ისეთი ამოცანების გადაწყვეტას, როგორიცაა: ინვესტიციების მოზიდვა, სტრატეგიული გადაწყვეტილების მირების ეფექტურობის ამაღლება, აქციონერებსა და მმართველობით ორგანოებს შორის ურთიერ-თობების ეფექტურობის ამაღლება. 2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა დაადასტურა, რომ კო-მპანიები, რომლებიც არ იმართებიან აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის-ად, არ არიან ორიენტირებული ზრდაზე და აქვთ გამჭვირვალობასთან დაკავშირებული პრობლე-მები. ისინი საკუთარ საქმიანობაში განწირუ-ლი არიან მარცხისათვის და საფრთხეს უქმ-ნიან თითეულ თანამშრომელს, კრედიტორებს, დებიტორებს და სხვა დაინტერესებულ პირებს.

საქართველოში კორპორაციული მართვის საუკუთხო მაგალითია აი-ეს თელასის კორპო-რაციული მენეჯმენტი. სს „თელასში“ აქციონერთა უფლებების უზრუნველყოფის მიზნით მიღე-ბულია შემდეგი შიდა დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოების ორგანოთა საქმი-ანობას: წესდება, დებულება აქციონერთა საერ-თო კრების მომზადებისა და ჩატარების წესის შესახებ, დებულება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების მოწვევისა და ჩატარების შესახებ, დებულება სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურების და კომპანიების გადა-ხდის შესახებ, დებულება სამეთვალყურეო საბ-ჭოს აუდიტის კომიტეტის შესახებ, დებულება საზოგადოების აქციონერებთან ურთიერთქმედე-ბის შესახებ, საზოგადოების აქციონერთა განცხ-ადებებსა და მოთხოვნებზე მუშაობის მეთოდი-კა.

სს „თელასში“ მართვისა და კონტროლის

## ორგანოებია:

- ◆ აქციონერთა საერთო კრება;
- ◆ სამეთვალყურეო საბჭო;
- ◆ გენერალური დირექტორი.

სს „თელასში“ აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს მართვის უმაღლეს ორგანოს, იგი აქციონერებს საშუალებას აძლევს მოახდინონ საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლების რეალიზაცია. სამეთვალყურეო საბ-ჭო, აღმასრულებელი ორგანოები ანგარიშვალდე-ბული არიან საერთო კრების წინაშე, კომპე-ტიციების შესაბამისად.

გენერალური დირექტორი ანხორციელებს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის ხემძღვანელობას, იგი წარმოადგენს სასოგადოების ერთპიროვნულ აღმასრულებელ ორგანოს, ახ-ორციელებს ყოველდღიურ მართვასა და წარ-მომადგენლობით უფლებამოსილებას.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო ანხორციელებს საზოგადოების საერთო ხე-ლმძღვანელობას, იღებს გადაწყვეტილებებს საზოგადოების საქმიანობის არსებით საკითხებთან დაკავშირებით. სამეთვალყურეო საბჭო შედგება ექვსი წევრისაგან.

კორპორაციული მართვის განხორციელების პროცესში თავს იჩენს კომპანიათა სოციალ-ური პასუხისმგებლობა, რომლის განხორციელების ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები შემდეგია:

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი - მოსახლეობის ხედვა;

✓ სახელმწიფომ დაუწესოს საგადასახადო შეღავთები წმდ-აქტიურ კომპანიებს;

✓ სახელმწიფომ შექმნას ბიზნესისათვის პეთოლყოფელი გარემო;

✓ მომხმარებელმა უპირატესობა მიანიჭოს იმ კომპანიას, რომელიც ეწევა საზოგადოები-სათვის სასარგებლო საქმიანობას;

✓ სახელმწიფომ ბიზნესის ფულით შექ-ნას სპეციალური ფონდი სოციალური პროგრამე-ბისათვის;

✓ მთავრობამ დაავალოს ბიზნესს აქტი-ურობა;

✓ არასამთავრობო სექტორმა აქტიურად ითანამშრომლოს ბიზნეს კომპანიებთან.

✓ საქართველოში კორპორაციული სო-ციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხე-ლის შემშლელი ფაქტორები - ბიზნესმენთა ხე-დვა:

✓ გარე ფაქტორები:

✓ სახელმწიფოს მხრიდან ხელშემწყობის და სტიმულირების არ არსებობა;



- ✓ საგადასახადო შედაგათების არ არსებობა;
- ✓ არაჯანსალი ბიზნეს გარემო.
- ✓ შიდა ფაქტორები:
- ✓ ბიზნესს არ აქვს მსგავსი საქმიანობის გამოცდილება;
- ✓ ცოდნისა და ინფორმაციულობის ნაკლებობა სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ფორმის შესახებ;
- ✓ სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების დაგეგმვის, მართვის და შედეგების შეფასების გამოცდილების ნაკლებობა.

საქართველოში თანამედროვე ეტაპზე ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო საწარმოების, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე კორპორაციული მმართველობის სისტემის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო საწარმოებისა და მაქსიმალური ეკონომიკური და სოციალური სარგებლის მიღებას. OECD-ის წევრ სახელმწიფოებში აღნიშნულ სექტორში რეფორმების განხორციელების აუცილებლობა მაღალმა საზოგადოებრივმა ინტერესმა და სახელმწიფო საწარმოთა მართვასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა წარმოშვა, როგორიცაა, მაგალითად, საწარმოთა საქმიანობაში ზედმეტი პოლიტიკური ჩარევა, პასიური და არაეფექტურად მოქმედი მმართველობითი ორგანოები (სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოები), არასაკმარისი გამჭვირვალობა, გაუმართავი ანგარიშვალდებულების სისტემა და ა.შ.

ამ მიზნით OECD-ის ძველ და ახალ წევრ სახელმწიფოებში სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებული ძირებული რეფორმები განხორციელდა, აღნიშნული რეფორმების განხორციელების პროცესში სახელმწიფოები მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდენ. ყველაზე რთული იყო ბალანსის პოვნა სახელმწიფოს მხრიდან პარტნიორის უფლებამოსილების აქტიურად განხორციელებასა და საწარმოთა საქმიანობაში ზედმეტ ჩარევას შორის.

საქართველოშიც დღეისათვის სახელმწიფო საწარმოთა წილები/აქციები მართვის უფლებით გადაცემულია სხვადასხვა სუბიექტებზე, კერძოდ, 17 საწარმო მართვის უფლებით გადაცემული აქვს სხვადასხვა სამინისტროს, მათი მმართველობის სფეროსა და კომპეტენციის შესაბამისად.

სახელმწიფო სათვის მნიშვნელოვანი და ფინანსურად გამართული საწარმოები საკუთრებაში გადაცემული აქვს სს საპარტნიორო ფონდს. ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების

## სოციალური ეპონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრინციპები. №2

საწყის ეტაპზე თანამონაწილების გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.). ფონდის აქტივების პორტფელი შედგება შემდეგი კომპანიებისაგან:

- ◆ საქართველოს რკინიგზა - 100% წილი;
- ◆ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია - 100% წილი;
- ◆ საქართველოს სახელმწიფო ელექტრო სისტემა -100% წილი;
- ◆ სს თელასი - 24,5% წილი.

გარდა აღნიშნული საწარმოებისა, ფონდის საკუთრებაშია კიდევ 5 კომპანია და ამ კომპანიების დაქვემდებარებაში მყოფი 12 კომპანია. აღნიშნული ფონდის საქმიანობა მთლიანობაში აგებულია კორპორაციული მართვის საფუძვლებზე.

საქართველოში კორპორაციული მართვის სფეროში მხედველობაშია მისადები ის გარემოება, რომ არ არსებობს სამართლებრივი ჩარჩო და მეაფიოდ განსაზღვრული პოლიტიკა, რის გამოც სახელმწიფო საწარმოთა მართვის პრაქტიკა არ არის უნიფიცირებული და ყველა სამინისტროს საკითხისადმი განსხვავებული მიღვომა აქვს. მაგალითად, სამინისტროებში ფუნქციონირებს მონიტორინგისა და ანგარიშების განსხვავებული სისტემა. ამასთანავე, საწარმოთა ორგანიზაციული სტრუქტურა და მათი მმართველობითი საქმიანობა არ ეფუძნება საერთო პრინციპებს, რაც გამოწვეულია იმითაც, რომ არ არის შემუშავებული სახელმწიფო საწარმოთა კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, რომელშიც გაწერილი იქნება საწარმოთა მართვის ძირითადი ნორმები და პრინციპები. მსგავსი სახის სახელმძღვანელო მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია. ყველივე ამის გამო, ჰერენაში არ არის უზრუნველყოფილი საწარმოთა მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება.

საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოში არსებული სიტუაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ სტრატეგიის, მეაფიო ხედვისა და კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპების შემუშავებისა და პრაქტიკაში გამოყენების გარეშე შეუძლებელია სახელმწიფო საწარმოთა პროდუქტიული საქმიანობისა და მომგებიანობის ზრდა. საწარმოთა კორპორაციული მართვის უზრუნველყოფის გარეშე სახელმწიფო საწარმოები იქნებიან ქვეყნისათვის მხოლოდ ტგიროთი, რომელსაც არსებით სარგებელი არ მოქვება.

საერთაშორისო სტრატეგიისა და პრაქტიკის პირველადი მოთხოვნა/რეკომენდაცია, რომ აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს საწარმოთა მაკორდინირებული ორგანო. ასეთი მაკორდინირებული ორგანო არსებობს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ქონების მარ-



თვის ეროვნული სააგენტოს სახით, მაგრამ მაკორდინირებელი ორგანო, კორპორაციული მმართველობის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე, აქტიურად უნდა ახორციელებდეს პარტნიორთა უფლებამოსილებებს და მის არსებობას არ უნდა ჰქონდეს ფორმალური ხასიათი. სააგენტოს პარტნიორის ყველა უფლებამოსილება სამინისტროზე აქვს დელეგირებული და, შესაბამისად, მართვაში საერთოდ არ მონაწილეობს (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ქონების განკარგვასთან მიმართებაში სამინისტროები გადაწყვეტილებას სააგენტოს თანხმობით იღებენ).

ამასთანავე, სამინისტროების მხრიდან სააგენტოში არ დება ანგარიშის წარდგენა მათ მმართველობის სფეროში არებული საწარმოების საქმიანობის და მომგებიანობის შესახებ. შესაბამისად, სახელმწიფოს არ აქვს აგრეგირებული ინფორმაცია სახელმწიფო საწარმოთა ფუნქციონირების შესახებ, რაც საწარმოთა ზედამხედველობასა და სისტემაში არსებულ პრობლემათა დროულ იდენტიფიცირებას შეუძლებელს ხდის.

დღემდე არ არის შემუშავებული საწარმოთა მართვის პოლიტიკა, რომელიც საერთო იქნებოდა საწარმოთა მმართველი უველა სამინის-

ტოსათვის. აღნიშნული ხელს შეუწყობდა კორპორაციულ მარვაში ერთიან ხედვის ჩამოყალიბებას და პოლიტიკის ფორმირებას ქვეწის მასშტაბით.

**დასკვნა:** საქართველოში კორპორაციული მართვის პრობლემების მინიმუმადე დასაყვანად აუცილებელია: კორპორაციათა სამეთვალყურეო საბჭოში წარდგენილი იქნეს დამოუკიდებელი წევრები, რომლებიც ინვესტორისათვის გარკვეულ გარანტიას წარმოადგენენ; გაძლიერდეს კომპანიის შიდა კონტროლი და მონიტორინგი; კომპანიებში ჩამოყალიბდეს ისეთი დამხმარე ორგანოები, როგორიცაა კომიტეტები და კორპორაციული მდივანი; დაინერგოს შეფასების მექანიზმი, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს დასავლეთის ქვეყნებში, რათა კომპანიონებმა განსაზღვრონ რამდენად ნაყოფიერია მმართველობითი ორგანოების ფუნქციონირება და რა ნაკლოვანებები გააჩნია მათ საქმიანობას; სახელმწიფომ, თავის მხრივ, განსაზღვროს კომპანიათა მართვის მინიმალური სტანდარტები და დანერგოს უფრო ეფექტური და მოქნილი მარეგულირებელი ნორმები.

## გამოყენებული

1. Корпоративное управление [https://ru.wikipedia.org/wiki/Корпоративное\\_управление](https://ru.wikipedia.org/wiki/Корпоративное_управление)
2. Принципы корпоративного управления ОЭСР: [www.oecd.org/corporate/ca/.../32159669](http://www.oecd.org/corporate/ca/.../32159669).
3. Кодекс корпоративного поведения. Корпоративное управление в России. Федеральная комиссия по рынку ценных бумаг; Под общей ред. И. В. Костикова. — М.: ЗАО “Издательство

## ლიტერატურა

- «Экономика», 2003. — 275 с.
4. Корпоративный секретарь в системе корпоративного управления компаний : учеб.-практ. пособие / под общ. ред. Беликова И. В.; Рос. ин-т директоров. — М.: Империум Пресс, 2005. — 424 с.
  5. Корпоративное управление: история и практика [www.cbr.ru/management.../index-.html](http://www.cbr.ru/management.../index-.html).



## ПРОБЛЕМЫ КОРПОРАТИВНОГО УПРАВЛЕНИЯ И ВОЗМОЖНЫЕ ПУТИ ИХ РЕШЕНИЯ В ГРУЗИИ

**МЕРАБ ВАНИШВИЛИ, к.э.н., профессор ГТУ**  
*E-mail: merabvanishvili@yahoo.com*

**КАХАБЕР ЖГЕНТИ,**  
*докторант Грузинского Университета Святого  
Андрея Первозванного Патриархата Грузии,*  
*E-mail: kakhajgenti@yahoo.com*

Статье подчеркивается, что нынешняя бизнес-среды в Грузии самый популярный тренд в иностранных инвестиций и перспектива обеспечения IPO. Таким образом, это очень важно для вопросов корпоративного управления компаний, в которых инвестор является наиболее заметным.

Доказано, что это необходимо, чтобы свести к минимуму проблемы корпоративного управления в Грузии: наблюдательный совет, чтобы быть независимыми членами корпорации, которые являются гарантией инвестора; Укрепление внутреннего контроля и мониторинга компаний; Реализация механизма оценки, который успешно работает в западных странах, для того, чтобы определить, является ли сподвижники государственных органов функционировать и быть продуктивным в их работе имеет недостатки; Государство, в свою очередь, определяют минимальные стандарты управления компаниями и внедрение более эффективных и гибких правил.

## CORPORATE MANAGEMENT PROBLEMS AND POTENTIAL SOLUTIONS IN GEORGIA

**MERAB VANISHVILI, Ph. D, professor**  
*Georgian Technical University,*  
*E-mail: merabvanishvili@yahoo.com*

**KAKHABER JGENTI, doctoral candidate**  
*St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia*  
*E-mail: kakhajgenti@yahoo.com*

The article emphasizes that the current business environment in Georgia is the most popular trend in foreign investment and the prospect of IPO- software. Therefore, it is very important for the company's corporate management issues under which the investor is most notable.

It is proved that it is necessary to minimize the problems of corporate governance in Georgia: the supervisory board to be independent members of corporations, which are a guarantee of the investor; Strengthen the company's internal control and monitoring; Companies to form such subsidiary bodies, such as committees and corporate secretary; Implement the evaluation mechanism, which is successfully operating in Western countries, in order to determine whether the Companions of government bodies to function and be productive in their work has shortcomings; The state, in turn, determine the minimum standards of the companies management and introducing more efficient and flexible regulations.